



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 7

2011 წლის 28 იანვარი  
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროში  
განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“  
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №155  
განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №155 განკარგულებით დამტკიცებულ „სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამაში“
2. ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მის შესაბამის სამსახურებს.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: კოსტავას ქ. №13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე



**ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში  
განსახორციელებელი პროგრამა**

დაგეგმილია, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის სფეროში 13 არასამეწარმეო იურიდიული პირის – (№1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13 საბავშვო ბაღების) ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქ.ხაშურში განთავსებულია №1-№8 საბავშვო ბაღები, №9 – დაბა სურამში, №10 – სოფელ ცხრამუხაში, №11 – სოფელ გომში, №12 – სოფელ ოსიაურში, №13 – სოფელ აღში.

**პროგრამის არსი**

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა თანადაფინანსებას სასწავლო პროცესში და დაფინანსებას არასასწავლო პერიოდშიც, თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

**პროგრამის ხანგრძლივობა**

2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო 547200 ლარი, რაც გათვლილია 818 ბავშვზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მონაცემები გასულ წელს სამუშაო თვეებში ბავშვთა ფაქტიური დასწრების სიდიდის შესახებ, ხოლო თუ მოხდა ბავშვთა რაოდენობის 20%-ით შემცირება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს.

№	დასახელება	აღსაზრდელთა რაოდენობა	ვაუჩერის რაოდენობა თვეში	სუბსიდია თვეში	სუბსიდია სულ წელიწადში
1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1	111	50	5550	66600
2	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №3	94	50	4700	56400
3	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №4	131	50	6550	78600
4	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №5	130	50	6500	78000
5	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №6	92	50	4600	55200
6	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №7	111	50	5550	66600
7	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №8	41	50	2050	24600
8	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №9	80	50	4000	48000

9	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №10	32	50	1600	19200
10	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №11	18	50	900	10800
11	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №12	38	50	1900	22800
12	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №13	34	50	1700	20400
	<b>სულ</b>	<b>912</b>		<b>45600</b>	<b>547200</b>

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურების ხელმისაწვდომობა.
- მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.